შეიქმნა „სამაჩაბლოს აღორძინების ფონდი“. თანხა შეგიძლიათ გადარიცხოთ საქართველოს მრეწვმშენბანკის საოპერაციო სამმართველოში სფბ № 521921. „სამაჩაბლოს აღორძინების ფონდი“

# 00700750

ველით თქვენს გამოხმაურებას. თანხის გადარიცხვის თაობაზე გვაცნობეთ „ლელოს“ რედაქციაში.


# ლელო

საქართველოს რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის გაზეთი

20 დეკემბერი, ხუთშაბათი, 1990 წ.
№ 241 (10 410) ● ფასი 8 კაპ.

„ლელოს“ დღევანდელი ნომრის ფასი გაყიდვაში 15 კაპიკია

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


„ლელოს“ ერთი ეგზემპლარის ღირებულება საცალო ვაჭრობაში 1990 წლის ბოლომდე

# 15 კაპიკია

ამონაგები თანხა მთლიანად „სამაჩაბლოს აღორძინების ფონდში“ გადაირიცხება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 5 ათასი ჭიდაობის გაერთიანებისაგან

რედაქციაში დაგვირეკა ჭიდაობის რესპუბლიკური ექსპერიმენტული გაერთიანების უფროსმა ო. შოშიტაშვილმა. ამ გაერთიანებამ „სამაჩაბლოს აღორძინების ფონდში“ გადარიცხა 5 ათასი მანეთი.

## 1000 მანეთი ჩვენგან

ნათქვამია, კეთილი გულით მიძღვნილი, მცირედიც შეიწირებისო. სწორედ ამ განწყობით, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ჯანმრთელობის ცენტრმა, რომელიც სულ ახლახან გაიხსნა და მთლიანად თვითდაფინანსებაზეა, გადაწყვიტა, თანამშრომელთა მცირე დანაზოგი — 1000 მანეთი „სამაჩაბლოს აღორძინების ფონდში“ ჩარიცხოს.

## 50 ათასი ნაღდი ფული

იჯარული ორგანიზაცია — სამრეწველო-სავაჭრო ფირმა „ლილო“ (გენერალური დირექტორი — ა. თავართქილაძე) სამაჩაბლოს აღორძინების ფონდში გამოყოფს 50 ათას მანეთ ნაღდ ფულს და გადასცემს იმ ქართულ ოჯახს, რომელსაც სამაჩაბლოში დასასახლებლად რეკომენდაციას გაუწევს „სამაჩაბლოს აღორძინების ფონდი“.

ფირმა იღებს ვალდებულებას ამ ოჯახს მომავალშიც გაუწიოს საჭირო დახმარება ეზო-კარმიდამოს მოსაწყობად.

## 1000 მანეთი წითელწყაროს კოოპერატივ „სანტექსერვისიდან“

დეპეშა მივიღეთ წითელწყაროდან. კოოპერატივ „სანტექსერვისის“ თავმჯდომარემ გ. ლაპიაშვილმა გვაცნობა, რომ მისმა კოოპერატივმა „სამაჩაბლოს აღორძინების ფონდში“ ათასი მანეთი გადარიცხა.

## „დინამოს“ სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭო გაუქმებულია

გუშინ სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ჯ. მიქელაძემ რედაქციას აცნობა: სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ბრძანებით, საზოგადოების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭო გაუქმებულია.

## ორგანიზაციების, დაწესებულებების, კოოპერატივების საყურადღებოდ!

რედაქციაში მოდის წერილები, სადაც ორგანიზაციები, დაწესებულებები, კოოპერატივები და სხვა შრომითი კოლექტივები გვთხოვენ ვაცნობოთ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ანგარიში.

გაცნობებთ, სეოკ-ის ანგარიშია 000700608, კოდი 521921, „მრეწვმშენბანკის“ საოპერაციო სამმართველო.

წარმოგიდგენთ კანდიდატებს: საქართველოს ათი საუკეთესო სპორტსმენი, გუნდი, მწვრთნელი.

## მაინც ქართული ჭიდაობა!



მალხაზ ბერუაშვილი.

ქართული ჭიდაობა, ძიუდო, სამბო.

დაიბადა 1961 წლის 14 ოქტომბერს ქარელის რაიონის სოფელ ფცაში.

სპორტსაზოგადოება „დინამოს“ წევრი.

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

სიმაღლე — 183 სმ, წონა 115 კგ.

სპორტში მოვიდა 1978 წელს, თუმცა, ქართულ ჭიდაობას ბავშვობაშივე ეზიარა.

საბჭოთა კავშირის სამბისტთა ნაკრების წევრია 1989 წლიდან. დაამთავრა ფიზკულტურის ინსტიტუტი (1987 წ).

მწვრთნელი — სპარტაკ ჯინორიძე.



ჭიდაობა ბერუაშვილების ოჯახის ტრადიციაა, მაგრამ ძმები — მალხაზი და გელა სპორტში მაინც ბიძის, დურმიშხან ბერუაშვილის მაგალითმა მიიყვანა. ვისაც ძველი თაობის ფალავნების გამოსვლა ახსოვს, დაგვეთანხმება, რომ დურმიშხანი რკინის კაცი იყო, ბრწყინვალე მოჭიდავე და დიდებული ვაჟკაცი...

ქარელის რაიონის სოფლებში ჭიდაობა ყველამ იცის, მაგრამ წრეში უფრო ხშირად ისინი შედიან, ვისაც ჯანი მოსდევს და გულიც ერჩის. მალხაზი ახალგაზრდობაში [illegible] ლასთან ჭიდაობდა და სოფელ[illegible] გამორჩეულ ფალავნად ითვლებოდ[illegible] სწორედ ამ ღონიერ ბიჭს და[illegible] თვალი ბიძინა მაზიაშვილმა, თბილ[illegible]სში ჩამოიყვანა და ძიუდოში ვარჯიში დააწყებინა.

სწავლასა და ვარჯიშს ერთმანეთს კარგად უთავსებდა და სულ მალე თანატოლებშიც პირველი გახდა.

● ჭიდაობაში რომ სამ „პროფესიას“ ფლობთ, ეს თქვენი ნიჭის მრავალფეროვნებაზე მეტყველებს. მაგრამ, საინტერესოა, რომელ ჭიდაობას ანიჭებთ უპირატესობას?

იხ. მე-3 გვ.

ქმედითობა

## „ლელოს“ რედაქციას

„ლელოს“ 13 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული წერილის თაობაზე „ლელოს“ რედაქციას“ (ავტორი თ. საჯაია) გაცნობებთ: თბილისის განათლების სამმართველოს ხელბურთის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული ოლიმპიური რეზერვის სკოლის კოლექტივის გადაწყვეტილებით, რასაც მხარს უჭერენ თბილისის განათლების სამმართველო, საქართველოს სპორტსახკომი და ხელბურთის რესპუბლიკური ფედერაცია, ხელბურთის სკოლას მიენიჭა ცნობილი ქართველი ხელბურთელის, საპატიო სპორტის ოსტატის ჯემალ ცერცვაძის სახელი. მას დიდი წვლილი მიუძღვის აღნიშნული სკოლის დაარსებაში, წლების მანძილზე იყო მისი დირექტორი.

რაც შეეხება ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე, საქართველოს სპორტსახკომმა და ხელბურთის ფედერაციამ მიზანშეწონილად არ ჩათვალეს ამიერიდან მისი ჩატარება, რადგანაც აღნიშნული ასპარეზობა ტარდებოდა ფაქტიურად საკავშირო ნაკრები გუნდის მომზადების მიზნით და არ ითვალისწინებდა საქართველოს ხელბურთელთა ინტერესებს.

რესპუბლიკის სპორტსახკომს და საქართველოს ხელბურთის ფედერაციას განზრახული აქვთ მომავალი წლიდან დამოუკიდებლად ჩაატარონ თბილისში საერთაშორისო ტურნირი „საქართველოს თასი“ უცხოეთის საუკეთესო საკლუბო გუნდების მონაწილეობით. მასზე გათამაშდება საუკეთესო მოთამაშეების ტრადიციული პრიზები, მათ შორის საუკეთესო მეკარის ჯილდო ცნობილი ქართველი მეკარის ჯემალ აბაიშვილის ხსოვნის პატივსაცემად.

ჯ. ბაგრატიონი,
საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილე.

მატიანე



არაფერი შეედრება გამარჯვების სიხარულს და გულშემატკივართა აღიარებას, მით უფრო, როცა გამარჯვება მიღწეულია დიდ საერთაშორისო ტურნირში და ღირსეულ პრეტენდენტებთან ბრძოლაში. 50-იან წლებში გივი კარტოზიას მისი ნიჭის მრავალრიცხოვან ქომაგთათვის მხოლოდ სიხარული და ბედნიერება მოჰქონდა.

ყველაფერი კი დაიწყო 1953 წელს ნეაპოლში, მსოფლიო პირველობაზე. კლასიკურ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონისთვის ეს ტურნირი, ფაქტობრივად, პირველი დიდი საერთაშორისო შეჯიბრება იყო და ერთ-ერთი მთავარი გამოცდა, რომელსაც ბევრ შეკითხვაზე უნდა გაეცა პასუხი...

1952 წელს გივი კარტოზია წაიყვანეს ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე, მაგრამ გუნდის შემადგენლობაში არ დაუყენებიათ — ოლიმპიურ სარბიელზე მოსკოველი ნიკოლოზ ბელოვის გამოსვლა ამჯობინეს. ბელოვმა ვერ გაიკაფა გზა მთავარი ფინალისკენ და ქვეყნის ნაკრები საშუალო წონაში მხოლოდ ბრინჯაოს ჯილდოს ამარად დარჩა.

„ფავორიტის“ ეს წარუმატებლობა მაშინ დიდ ტრაგედიად მიიჩნიეს და მთელი ერთი წელი ამ შეცდომის გამოსწორებას მოანდომეს. თუმცა, გამოსასწორებელი, კაცმა რომ თქვას, არაფერი იყო: გივი ოლიმპიადის წელსაც და მერეც მეტოქეზე ძლიერი იყო და მწვრთნელებს არჩევანი, ობიექტურად, სწორედ მასზე უნდა შეეჩერებინათ. მით უფრო, რომ 1952 წელს ოლიმპიადისწინა საკავშირო ჩემპიონატი სწორედ კარტოზიამ მოიგო. მაგრამ იმხანად სპორტში ბევრი უკუღმართობა ხდებოდა და ასეთმა არაობიექტურმა გადაწყვეტილებამ აქა-იქ აღაშფოთა მოჭიდავეები.

ერთი სიტყვით, ნეაპოლში გივიმ ქვეყანას დაანახა ერთი წლის წინანდელი შეცდომის ფასი და შინ ოქროს მედლით მკერდდამშვენებული დაბრუნდა. ეს იყო ჭიდაობის ამ დიდოსტატის ბრწყინვალე კარიერის დასაწყისი, რომელსაც მოჰყვა ახალ-ახალი წარმატებები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სარბიელზე...

* * *

**სურათზე:** ასე ხვდებოდა თბილისი თავისი საყვარელი ფალავნის ყოველ ახალ გამარჯვებას.

## საუბარი სპორტის პრობლემებზე

**როგორც** ამ დღეებში მოსკოვში გამართულ ბრიფინგზე საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ვ. იგნატენკომ განაცხადა, მ. გორბაჩოვი უსათუოდ შეხვდება ქვეყნის სპორტული წრეების წარმომადგენლებს.

აღინიშნა, რომ პრეზიდენტის კულტურის მოღვაწეებთან შეხვედრის დროს ცნობილმა მსახიობმა ქალმა ელენა ბისტრიცკაიამ (იგი, ამავე დროს, მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარეა) დააყენა საკითხი ფიზიკური კულტურისა და სპორტის დაფინანსების პრობლემებზე, რომლებიც სერიოზულად გართულდა გადასახადთა ახალი კანონის შემოღებასთან დაკავშირებით. შეხვედრაზე, რომელიც მომავალი წლის დასაწყისში გაიმართება, განიხილავენ სპორტული ორგანიზაციებისა და საზოგადოებების უაღრესად მძიმე ეკონომიკურ პირობებს.

## სპორტი და ხალხური თამაშები რელიგიურ დღესასწაულზე

### ახალციხეში

„თუ კიდევ რომელიმე საქართველოს კუთხეში დარჩენილა მცირედად მაინც ძველებური წესი, ლხინი და თამაში „ყველიერებში", ერთი იმ ადგილთაგანი არის ახალციხეც.

ვიდრე ახალციხეს რუსი აიღებდა, და სომხები არზრუმიდან გადმოსახლდებოდნენ, ახალციხეში ყველიერი დიდად შესანიშნავი იყო, და დღეს რა არის მიზეზი მისი უფერულობისა, ძნელია გამოსათქმელად. სადღაა ძველებური თავის შექცევანი, გართობანი!... ახალმა თაობამ სრულიად დაივიწყა ყეენობა. მწუხარებით გაავლებს თვალს აქაური მოხუცებულნი პირდაპირ მოედანს და თავის გაქნევით მოიგონებენ: -ჰეი გიდი! რა ყველიერია!? სად არი ბიჭობა? სად არიან ახალგაზრდები! ღმერთო, ჩემო, ამნაირი ცვლილება შეიძლება?

ორიოდე თამაში დარჩენილა: „თულო", „ყუბა თახლა", „ყოჩ-თახლა", „სამყრელო". ამ ზემოთ დასახელებულ და სხვადასხვა თამაშობითაც სტუმრობენ ყველიერს და დიდ-მარხვას დახვდებიან ხოლმე".

**მაყურებელი, ახალ-ციხე, 15 თებერვალს, „დროება", 1883, № 50, 9. 3, გვ. 3-4.**

### სიღნაღში

„სიღნაღზედ ახლოს არის სობოროს ეკლესია, სადაც ასვენია გვამი საქართველოს განმანათლებლის წმ. ნინოსი. 14 იანვარს აქაურმა ხალხმა იცოდა აქ დიდის ამბით დროების გატარება, ცხენის ჭენება, ჭიდაობა და სხვა. წლეულ კი ამ დღემ ძრიელ ჩუმათ და ჭკვიანათ გაიარა, თითქო ამას ეგრძნო ხალხის და მთელი მაზრის სენი და დაცემა".

**კორესპონდენცია სიღნაღიდან. „დროება", 1877, № 12, 30. 1. გვ. 2.**



## ხსოვნა

**იცხოვრე** უჩინრადო, — გვირჩევდა ეპიკურე. უჩინრად ცხოვრება თავისთავად დიდი ხელოვნებაა და ასეთი ხვედრი მხოლოდ თვით განგებამ უნდა არგუნოს მისგანვე გამორჩეულს. თაობათა მეხსიერებას განსაკუთრებული სითბოთი აღმზრდელის პიროვნება შემორჩება ხოლმე. მარტო იმიტომ კი არა, რომ მასწავლებელი პირველი ანთებს სიკეთის სანთელს ადამიანის სულში, არამედ იმიტომაც, რომ ჭეშმარიტი პედაგოგი სწორედ ასეთი უჩინარი თავდადებით უპრეტენზიოდ იღვწის და უდიდეს ჯილდოდაც, ალბათ, უწინარესად, იმას მიიჩნევს, რომ შეგირდში საკუთარ თავს, თავისივე სულის ნაწილს ხედავს.

სიკეთის სიმბოლოდ დაამჯებს დღეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დავით ქამუშაძის ნათელი ხსოვნა. შეგირდები კი მრავლად არიან —ვინც თბილისის უნივერსიტეტი დაამთავრა, ვინც კალათბურთის მეშვეობით არა მხოლოდ სპორტის სიკეთეს, არამედ ცხოვრების ჭეშმარიტ ღირებულებათა შემეცნების უნარს ეზიარა, ისინიც კი, ვისთან ერთადაც ათეულწლობით მუშაობდა ქართული უნივერსიტეტის კედლებში. სიკეთეს ხელოვნურად ვერ გამოიმუშავებ, სიკეთემდე უნდა ამაღლდე. მაგრამ ამისთვის საჭიროა, უპირველესად ბუნებით იყო ქრისტიანი. ბატონი დავითი სიკეთემდე, უპირველესად სწორედ ქრისტიანული ბუნებით, მთელი თავისი კაცური ცხოვრებით ამაღლდა. ხშირად გაიგონებთ ერთი ცნობილი გამონათქვამის პერიფრაზს: მითხარი, ვინ არის შენი მასწავლებელი და გეტყვი, ვინა ხარ შენო. დავით ქამუშაძის აღზრდილებს შეუძლიათ თამამად იამაყონ და ამაყობენ კიდეც თავიანთი მასწავლებლის ცხოვრებისეული გაკვეთილებით.

ამ დღეებში დავით ქამუშაძის ერთი ყოფილი მოწაფე, თბილისის უნივერსიტეტის დოცენტი ავთანდილ წერეთელი გვიყვებოდა: — ჩემი თაობის კალათბურთელები ვფიქრობდით, რომ ბატონი დავითის მიმართ მხოლოდ ჩვენ ვამჟღავნებდით განსაკუთრებულ პატივისცემას. ვერ წარმოიდგენთ, როგორ გავიხარეთ, როცა საჩხერეში ჩავედით და ხსოვნის დღეს ჩვენზე ახალგაზრდები, მომდევნო თაობების წარმომადგენლებიც დაგვხვდნენ მის საფლავზე.

ბატონმა დავითმა ბევრ ახალგაზრდას დაულოცა გზა დიდ სპორტში. ადამიანის შეფასებაში შეუცდომელი ნიკო კეცხოველი უდიდეს პატივს სცემდა მას, როგორც თავდადებულ მუშაკს და სამაგალითო აღმზრდელს, მშობლიურმა უნივერსიტეტმა დიდი ივანე ჯავახიშვილის მედლის გადაცემით გამოხატა მისდამი საერთო პატივისცემა.

დავით ქამუშაძე ჰარმონიულად, ფიზიკურად და სულიერად აწრთობდა შეგირდებს. ომის ქარცეცხლიანმა წლებმა, ჭრილობამ, ვერ გააუხეშა მისი ბუნება. პირიქით, მას შემდეგ, რაც ბოროტებას თვალებში ჩახედა, კიდევ უფრო ძალუმად გრძნობდა, რომ ადამიანი მხოლოდ სიკეთისათვის უნდა ცოცხლობდეს.

იცხოვრო უჩინრად და დატოვო კეთილი სახელი — ეს მართლაც რჩეულთა ხელოვნებაა.

**სურათზე: 1980 წლის 20 დეკემბერი. ბატონ დავით ქამუშაძეს (დგას მარჯვნივ) უნივერსიტეტში ეწვივნენ მეგობრები: ბორის პაიჭაძე, შოთა ქველიაშვილი, ლევან თედიაშვილი და დაბადებიდან 69 წლისთავი მიულოცეს.**

**მურმან ჩაჩუას ფოტო.**

## ეს ჩვენი ისტორიაა — ქართული სპორტი 1918-1921 წლებში

# ტანვარჯიშობისათვის

**ძველათ** ქართული ზეიმი უჯირითოდ, უყაბახოდ წარმოუდგენელი იყო და დღესაც ჩვენ ზეიმში ჩვენი დროის შესაფერი მოყაბახენი და მოჯირითენი „შევარდნები" იღებდნენ მონაწილეობას.

თავისი ვარჯიშობით გუშინ შეამკეს ეროვნული ზეიმი.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას ქართული „შევარდენის" დაარსება მოჰყვა და ჩვენმა შევარდნებმა ორნაირად იზეიმეს. ზეიმობდნენ თავიანთ გამოფენას და ამაზე მეტად კი საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაულს.

რა მნიშვნელობა აქვს ასეთ საზოგადოების განვითარებას?

იგი ხელს უწყობს ერის ფიზიკურად გამაგრებას, აწვდის მას აგებულობითა და სულით ჯანსაღ ხალხს, პირადად მოვარჯიშეს კი გარდა ფიზიკური განვითარებისა ჰმატებს სულიერ სიფაქიზესაც, აჩვევს თავდაჭერილობას, რაინდობას, „შევარდენი" ეჩვევა თავის თავისათვის იყოს მეტად მკაცრი, ხოლო სხვისთვის ლმობიერი და სხვა.

ეს ყველაფერი კარგად იცოდნენ ჩვენმა ძველებმა და ამისთვის იყო კიდეც, რომ ასე მისდევდნენ ყოველგვარ ვარჯიშობას.

ვარჯიშობის მნიშვნელობა არამც თუ ჩვენი დროის ადამიანს, არამედ უძველეს დროშიაც კი ესმოდათ: ცნობილია, რომ 2000 წლის წინად ქრისტეს დაბადებამდე ეგვიპტეში ახალგაზრდობას საგანგებოდ აჩვენებდნენ ტანვარჯიშობას.

ვის არ მოაგონდება, თუ როდისმე დარიოზ I-ის დროს ოდნავ გასცნობია, ამ მეფის მალე მსრბოლნი, რომელნიც რამოდენიმე საათის განმავლობაში ასეული ვერსის მანძილს გაირბენდნენ ხოლმე.

მაგრამ ყველაზე მეტად ტანვარჯიშობას ანუ, როგორც ბერძნულად ჰქვიან, გიმნასტიკას ძველი ბერძნები აფასებდნენ.

საბერძნეთის მოქალაქე უპირველესად კარგი მოვარჯიშე უნდა ყოფილიყო.

მეცნიერი ლესგაფტი სწორედ ამაზე სწერს:

„ბერძნის იდეალის ერთ-ერთ დიად მომენტად იყო სწორედ ეს ჯანსაღი, ღონიერი, ზომიერად აგებული, ლამაზი ტანი, რომელშიაც ასეთივე ჯანსაღი სული იდგა".

პლატონი იმ კაცს, რომელსაც სული და ხორცი ერთ დონეზე არა ჰქონდა განვითარებული, კოჭლს უწოდებდა. საბერძნეთის ფილოსოფოსები, რომელთაც ღრმა მოხუცობამდე შერჩათ ახალგაზრდული გონება და მოსაზრების უნარი (როგორიც იყვნენ სოფოკლე, სოკრატე, ლიკონი და სხვანი) უკანასკნელ წლებამდე ვარჯიშობდნენ. ცნობილია, რომ პითაგორემ და პლატონმა ოლიმპიის შეჯიბრებაზედაც კი მიიღეს მონაწილეობა. ასე რომ აფასებდნენ ბერძნები ტან-ვარჯიშობას, სწორედ ამისთვის იყო, რომ თითქმის ყველა ეროვნებებში ბერძენი თავისი ლამაზი და მოყვანილი ტანით ირჩეოდა.

დღეს ბერძნებმა დასთმეს ეს ასპარეზი და პირველობა ჩეხებს გადაუბოძეს. ოლიმპიადა და მირათონის თამაშობა დღეს საბერძნეთში კი აღარ იმართება, არამედ პრაჰაში, ჩეხიის დედა-ქალაქში.

შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, თუ რა დიდი როლი ითამაშეს ეგრეთ-წოდებულ „შევარდნებმა" ზოგიერთი პატარა ერების, განსაკუთრებით კი ჩეხების ისტორიაში. ამ სამოცი წლის წინად ჩეხებში ყოველივე კულტურული მოძრაობა ჩამქრალი იყო, ამ ხალხს, არამც თუ ინტელიგენციას, მდაბიო ხალხსაც კი არ ეხერხებოდა მშობლიურ ენაზე ლაპარაკი. ისტორია სრულიად გამოუკვლეველი იყო და დღეს თუ ჩეხია დამოუკიდებელი სახელმწიფოა, თუ მას ძალუძს აგრესიული პოლიტიკა აწარმოოს თვით გერმანიის წინააღმდეგ, თუ მისი კულტურა და მწერლობა ისე გაიფურჩქნა, რომ მარტო პრაჰაში ომის პირველ წლებში 96 ჩეხური გაზეთი გამოდიოდა, ეს ყველაფერი შესძლო მხოლოდ იმ ორმა თავდადებულმა საზოგადო მოღვაწემ, რომლებმაც პრაჰაში პირველი „შევარდენი" დაარსეს.

მართლაც გადაგვარებულ ჩეხთათვის ახლად გახსნილი საზოგადოება „შევარდენი" — სკოლაც იყო, კლუბიც და ეკლესიაც.

ენის აღსადგენად ჩეხების შევარდენთა საზოგადოებაში ფულის ყულაბი ჩამოჰკიდეს; ვისაც კი გერმანული (გერმანიის კულტურის მონობას განიცდიდნენ) სიტყვა წამოცდებოდა, მოვალე იყო ენის შესწავლის ფონდის სასარგებლოდ სიტყვაში ნახევარი კაპიკი (ჩვენ ფულზე) გადაეხადა.

თუ რამდენად დიდი იყო პროცენტი გადაგვარებულთა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ პირველ წლებში ყოველთვიურად ყულაბში ასს მანეთზე მეტი გროვდებოდა.

ამასთან ერთად საზოგადოება „შევარდენი", აწყობდა ისტორიულ და სამეცნიერო ლექციებს, სცემდა ეროვნული მიმართულების გაზეთს, რომელიც ამ დამონებულ ხალხში საკაცობრიო და ეროვნულ იდეალებს ავრცელებდა.

შედეგი მართლაც დიდი აღმოჩნდა.

1912 წელს, ჩეხიის დედა ქალაქ პრაჰაში, მოხდა „შევარდენთა" შეჯიბრება, რამაც 12 ათასს მოვარჯიშეს და რამდენიმე ას ათასს მაყურებელს მოუყარა თავი. აღსანიშნავია, რომ მცირე შეჯიბრებაში ქალაქთა შორის მთელი დედამიწის ზურგზე, პირველი ჯილდო და პირველი ადგილი თბილისმა დაიჭირა.

ქართულმა სულმა პრაჰაშიაც ამოხეთქა და რუსეთიდან გაგზავნილმა ქართველობამ ყველამ პირველი ჯილდო მიიღო.

ეს მაინცა და მაინც დიდად გასაკვირალი არ არის თუ გავიხსენებთ, რომ ძველ საქართველოში ვარჯიშობა დიდ ხარისხზე იყო...

...როგორც სჩანს ამ მიზნისთვის განსაკუთრებული სასწავლებლებიც ყოფილა და მწვრთნელიც. ასე რომ ტანვარჯიშობა ჩვენთვის ქართველთათვის უცხო ხილი არ არის, ყოველი ქართველის სულში მკაფიოდ თუ არა, ოდნავად მაინც მოსჩანს ათასი წლობით შექმნილი სიყვარული ვარჯიშობისადმი.

ჩვენი ხალხიც, ისე როგორც დღევანდელი ევროპაც, ადვილად გაიგებს იმ საკაცობრიო და ეროვნულ მიზნებს, რომელსაც ტანვარჯიშობა ემსახურება.

დღეს ქართველი შევარდნებისათვის დიადი დღეა. ისინი თავის ნამოქმედით რუსეთის პრესტიჟს კი აღარა სწევენ როგორც ეს დღემდე იყო, არამედ ქართველი ერისას. დღეს ისინი სლავიანთა დღესასწაულს კი აღარა ზეიმობენ როგორც წინად... დღეს მათ საკუთარი ბუდე აქვთ და საქართველოს დიდებას ნათელ შარავანდედს ჰმოსავენ.

**ბ. მერკვილაძე.**

**„საქართველო", 1919 წ. 28 მაისი (№ 108).**

**მოგვაწოდა ხულიკო ნუცუბიძემ**

## სპორტი გვაახლოვებს...

**22-მა** მოჭადრაკემ მოიყარა თავი ოჩამჩირეში, სადაც გაიმართა აფხაზეთის ჩემპიონატი. დაძაბულ, უშეღავათო ბრძოლებში ვაჟთა შორის პირველი ადგილი დაიკავა ინჟინერმა დ. შაკიამ (ტყვარჩელი), მეორე-მესამე ადგილებზე გავიდნენ მოსწავლეები — ბ. დარჯანია (ოჩამჩირე) და ვ. თოდუა (სოხუმი). ქალთა შორის საუკეთესო აღმოჩნდა სოხუმელი მ. შენგელია, მეორე იყო თ. ზაქარაია (სოხუმის რ-ნი), ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა ოჩამჩირელმა ე. ძიძიგურმა.

როგორც შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა რენცო ჭედიამ აღნიშნა, აფხაზეთის ჩემპიონატში მონაწილეობა არ მიუღია ამ კუთხის ყველა პერსპექტიულ და წამყვან მოჭადრაკეს. ეს სენი არახალია და არა მარტო მოჭადრაკეთათვის არის დამახასიათებელი. სპორტი ხომ ადამიანებს გვაახლოვებს.

**„ლელოს" საქ. კორ.**

**ოჩამჩირე.**

## გორელები— ლენინგრადის ტატამზე

**ლენინგრადში** დამთავრებულ ჭაბუკ ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირზე, რომელშიც მონაწილეობდნენ ბულგარეთის, პოლონეთის, რუმინეთისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები, მიწვეულნი იყვნენ აგრეთვე გორელი ნორჩი ფალავნები (მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გივი ზაუტაშვილი).

მართლაც ისახელეს თავი გოგიტა გოგიაშვილმა (62 კგ) და იოსებ გუსოშვილმა (83) — მათ ჩემპიონის ოქროს მედლები დაიმსახურეს. მეორე ადგილზე გავიდნენ ანზორ ზაუტაშვილი, დავით მარეხაშვილი, დავით კადალაევი, დავით არაბაშვილი და გიორგი მამუჩაშვილი. ახალბედა მოჭიდავემ, მძიმე წონის სერგო პაპიძემ მესამე ადგილი დაიკავა, რაც წარმატებად უნდა ჩაეთვალოს. მესამე ადგილებზე გავიდნენ აგრეთვე პაატა ცხოშვილი და ბესიკ ჯიოშვილი.

**ილია თევდორაშვილი,**
**„ლელოს" კორ.**

**გორი.**

## გული უნდა ფალავნობდეს! საჩემპიონო

**ჯერ** კიდევ ერთი წლის წინ ისინი არავის ახსოვდა, არავინ ფიქრობდა მათ მწარე ხვედრზე, არავის აწუხებდა მათი უნუგეშო მდგომარეობა. დიახ, ინვალიდებზე მოგახსენებთ.

1990 წლის 6 აპრილს დაფუძნდა საქართველოს ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული ფედერაცია, რომელმაც საქართველოში მცხოვრებ ინვალიდთა ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის რეაბილიტაცია დაისახა მოქმედების მთავარ მიზნად. სწორედ ამ ფედერაციის საქმიანობამ დაუბრუნა ინვალიდებს რწმენა, ცხოვრების ხალისი და იმედი იმისა, რომ სიცოცხლე გრძელდება და ის მათთვისაც ისეთი საინტერესო და მშვენიერია, როგორც ყველასათვის.

და აი, წლის მიწურულს საქართველოს ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტულმა ფედერაციამ გადაწყვიტა დაესახელებინა 10 საუკეთესო სპორტსმენი, ისინი, ვინც გარკვეულ წარმატებებს მიაღწია ინვალიდთა საკავშირო თუ საერთაშორისო ტურნირებში. მათ შორის არიან უსინათლონი, სმენადაქვეითებულნი, ინვალიდები საერთო დაავადებით, სპორტსმენები სხვადასხვა ტრავმებით. აი ისინიც: 1. ლიანა გოგიტიძე (I ჯგუფის ინვალიდი) — საკავშირო და საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული მარათონში; 2. რამინ ფოლადაშვილი (III ჯგ.) — საკავშირო და საერთაშორისო ტურნირების ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში; 3. სერგო სოტიევი (III ჯგ.) — საკავშირო და საერთაშორისო ტურნირების ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში; 4. ლევან ჟამიაშვილი (II ჯგ.) — მკლავჭიდელთა საერთაშორისო ტურნირის „მოსკოვური დათვების" ვერცხლის მედლის მფლობელი; 5. შალვა ნადირაძე (II ჯგ.) — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მძლეოსნობაში (სირბილი); 6. ალექსანდრე მამალაძე (II ჯგ.)— საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მარათონში, გაიმეორა საკავშირო რეკორდი; 7. დავით შაკიაშვილი (II ჯგ.) — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი 20 კმ-იან კროსში; 8. ვლადიმერ ალიევი (III ჯგ.) — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ძიუდოში; 9. ვიქტორ მუსაევი (III ჯგ.) — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ძიუდოში; 10. სერგო ღვალაძე (III ჯგ.) — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი 10 კმ-იან კროსში.

# ქეთევან არახამია: ფანტასტიკური შედეგი

**ახლა, როცა სპორტული პრესა აჯამებს ნოვი სადის საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადის შედეგებს, ყველა მიმომხილველი ხაზს უსვამს ქართველი დიდოსტატის ქეთევან არახამიას ფანტასტიკურ მიღწევას — მან 14 ტურში სულ ორჯერ დაისვენა, 12 პარტია ითამაშა და თორმეტივე მოიგო!**

**ახლა კი გთავაზობთ მოჭადრაკეთა შედეგებს დაფების მიხედვით.**

### ქალები:

**პირველი დაფა.** 1. ჟუჟა პოლგარი (უნგრეთი) — 11, 5 ქულა 14-დან (82 პროც.), 2. ამურა (არგენტინა) — 8 (10), 80 პროც. 3. მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი სეჯუნი (ჩინეთი) — 11 (14), 78,5 პროც. 4. ჰოიბერგი (დანია) — 10 (14), 71,4 პროც. 5. ფლირი (საფრანგეთი) — 8,5 (12), 70, 8 პროც. ამავე დაფაზე მსოფლიო ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ ითამაშა 9 პარტია და მოაგროვა 6 ქულა.

**მეორე დაფა.** 1. იუდით პოლგარი (უნგრეთი) — 10 (13), 76,9 პროც. 2. იოჰანსონი (შვეცია) — 9 (12), 75 პროც. 3. მსოფლიოს ექსჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი — 7,5 (10), 75 პროც. 4. მირა (ავსტრია) — 8 (11), 72,7 პროც. 5. პამი (ვიეტნამი) — 8,5 (12), 70,8 პროც.

**მესამე დაფა.** 1. სოფია პოლგარი (უნგრეთი) — 11,5 (13), 88,4 პროც. 2. გალიამოვა — 9,5 (11), 86,3 პროც. 3. კოული (შოტლანდია) — — 9 (12), 75 პროც. 4. პაინცე (გდრ) — 8 (11), 72,7 პროც. 5. ანგელოვა (ბულგარეთი) — 7 (10), 70 პროც.

**მეოთხე დაფა.** (სათადარიგო მონაწილეები). 1. ქეთევან არახამია — 12 (12), 100 პროც. 2. ბენეტი (იამაიკა) — 6 (7), 85,7 პროც. 3. გუინდუ (დანია) — 7,5 (10), 75 პროც. 4. მილელსი (ავსტრალია) — 8 (11), 72,7 პროც. 5. ნიკოლინი (იუგოსლავია) — 6,5 (9), 72,7 პროც.

### ვაჟები:

**პირველი დაფა.** 1. ფრანკო (პარაგვაი) — 9 (12), 75 პროც. 2. გარსია (ანდორა) — 10,5 (14), 75 პროც. კოეფიციენტით ფრანკოს პირველი ადგილი მიეკუთვნა. 3. ჰამდუკი (მაროკო) — 8 (11), 72,7 პროც. 4. როჯერსი (ავსტრალია) — 8,5 (12), 70,8 პროც. 5. ივანჩუკი (საბჭოთა კავშირი) — 7 (10), 70 პროც. 6. ჰიუბნერი (გფრ) — 7 (10), 70 პროც.

**მეორე დაფა.** 1. ბარუა (ინდოეთი) — 8,5 (11), 72,2 პროც. 2. პინედა (სალვადორი) — 7,5 (10), 75 პროც. 3. ჰანსენი (დანია) 8 (11), 72,7 პროც. 4. იოჰანსენი (ავსტრალია) — 8,5 (12), 70,8 პროც. 5. პასოსი (ეკვადორი) — 9 (13), 69,2 პროც.

**მესამე დაფა.** 1. ბრეშტიანი (ავსტრია) — 9,5 (12), 79,1 პროც. 2. ალმეიდა (ურუგვაი) — 7 (9), 77,7 პროც. 3. კაზარესი (პერუ) — 10,5 (14), 75 პროც. 4. ლობრონი (გფრ) — 9 (12), 75 პროც. 5. კოჟული (იუგოსლავია), — 9 (12), 75 პროც.

**მეოთხე დაფა.** 1. მარტინი (მექსიკა) — 7,5 (10), 75 პროც. 2. სორლუ (თურქეთი) — 8,5 (12), 70,8 პროც. 3. ერმენკოვი (ბულგარეთი) — 7 (10), 70 პროც. 4. კოვაჩევიჩი (იუგოსლავია) — 7 (10), 70 პროც. 5. გომესი (არგენტინა) — 7,5 (11), 68 პროც.

**მეხუთე დაფა:** (სათადარიგო მონაწილეები). 1. ჰისარი (სირია) — 6 (7), 85,7 პროც. 2. ჩანდლერი (ინგლისი) — 9 (11), 81,8 პროც. 3. ერცოტი (კანადა) — 7 (9), 77,7 პროც. 4. მოკრი (ჩეხოსლოვაკია) — 8,5 (11), 77,2 პროც.

**მეექვსე დაფა** (სათადარიგო მონაწილეები). 1. ჯონსი (უელსი) — 6 (7), 85,7 პროც. 2. ქოსაშვილი (ისრაელი) — 7,5 (9), 83,3 პროც. 3. მანსა (იტალია) — 8 (10), 86 პროც. 4. ე. გარსია (სან მარინო) — 8,5 (11), 77 პროც. 5. ლალიჩი (იუგოსლავია) — 8 (11), 72,7 პროც.

# მაინც ქართული ჭიდაობა!

(დასასრული)

— მე, ჩემი თავი მხოლოდ ქართულ მოჭიდავედ მიმაჩნია. სამბოშიც და ძიუდოშიც ვაკეთებ იმას, რაც სოფელში მისწავლია, მწვრთნელები, რა თქმა უნდა, მეხმარებიან, მასწავლიან კლასიკურ ხერხებს, მაგრამ რაღა დროს ჩემი „გადაკეთებაა"?

● **პირველ წარმატებას როდის მიაღწიეთ?**

— საქართველოს ფალავანი პირველად 1979 წელს გავხდი, თვრამეტი წლისა. მას შემდეგ კიდევ ოთხჯერ მოვიპოვე ყველა ქართველი მოჭიდავისთვის ძვირფასი და სანუკვარი ტიტული აბსოლუტური ჩემპიონისა.

● **თუ არ ვცდებით, ძიუდოშიც საკმაოდ კარგი შედეგები გქონდათ?**

— თბილისის საერთაშორისო ტურნირი ოთხჯერ მაქვს მოგებული. 1983 წელს ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი გავხდი აბსოლუტურ კატეგორიაში. საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც ვიყავი 95 კგ. წონაში.

● **ძნელი ხომ არ იყო ძიუდოდან სამბოზე გადასვლა?**

— ოდნავადაც არა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მაშინვე აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული მოვიპოვე. შარშანაც იგივე შედეგს მივაღწიე, წლეულს კი საკავშირო პირველობა მოვიგე მძიმე წონაში.

● **აბსოლუტურ პირველობაზეც იჭიდავებთ?**

— არა, თუმცა ამ შეჯიბრებაში ერთი ბერუაშვილი მაინც გამოვა. ჩემი უმცროსი ძმა გელა აპირებს ტრადიციის გაგრძელებას. გულით და სულით მინდა მისი გამარჯვების მოწმე გავხდე.

● **სამბისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრების წინ თუ გქონდათ წარმატების იმედი?**

— რა თქმა უნდა, მქონდა. საქმე ისაა, რომ წლევანდელ საკავშირო პირველობაში, ფაქტობრივად, ყველა პოტენციურ მეტოქეს ვაჯობე. მათ შორის იყვნენ გამოცდილი მოსკოველი, მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი ვლადიმერ შკალოვი (150 კილოგრამს იწონის), მეორე გოლიათი — ვალერი რატოვი, რომელიც ჩვენს შორის ყველაზე მძიმეა (165 კილოგრამი) და ვლადიმერ ემელიანოვი მინსკიდან. როცა მწვრთნელთა საბჭო საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მათზე ძლიერი ვარ, ნაკრებ გუნდშიც შემიყვანეს. ამის შემდეგ კი მარცხის უფლება აღარ მქონდა.

● **რამდენი შეხვედრის ჩატარება მოგიხდათ მსოფლიო ჩემპიონატზე?**

— ოთხი ბრძოლიდან ორი ქულებით მოვიგე, ოღონდ დიდი უპირატესობით, მონღოლ ერდენბატთან და ბულგარელ სტოიკოვთან ორიც — წმინდად ფრანგ ბრიუსკასთან და ამერიკელ ჯონსონთან.

● **მათგან ვინ იყო ღირსეული მეტოქე?**

— ჩემი აზრით, ყველაზე ძლიერი იყო მონღოლი სამბისტი, მას ძალაც საკმარისი ჰქონდა (მონღოლები, საერთოდ, ფიზიკურად კარგად არიან მომზადებულნი) და ტექნიკაც. ჩემთან მარცხის შემდეგ ყველა ბრძოლა წმინდად მოიგო და ბრინჯაოს ჯილდოც დაიმსახურა, თუმცა, ვერცხლის მედლის ღირსი იყო.

● **რას ფიქრობთ სამომავლოდ, როგორი გეგმები გაქვთ?**

— ჯერჯერობით დავისვენებ და დაველოდები ჩემი ძმის გამოსვლას აბსოლუტურ ჩემპიონატში. მინდა, რომ გელამაც თავი ისახელოს. მერე კი ახალი სეზონიც დადგება და დავიწყებ ახალი ტურნირებისთვის სამზადისს.

...ამბობენ, საქართველოში ...ის განვითარება-ხელმძღვა...ობის საქმე ეროვნულ ოლიმპი... კომიტეტს გადაეცემაო, რამდ...დ სწორია ეს მოსაზრება?

**ე. ხოხაძე,**
თბილისი.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ფუნქცია განსაზღვრულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ქარტიით. სპორტის განვითარებას ყველა ქვეყანაში შესაბამისი ორგანიზაციები ხელმძღვანელობენ, ქარტიით, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ფუნქცია განისაზღვრება მხოლოდ ოლიმპიური თამაშებისათვის სპორტსმენთა მომზადების ხელმძღვანელობით და თამაშებში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფით.

ამრიგად, სპორტის განვითარება-ხელმძღვანელობის ფუნქციის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებზე გადაცემა ეწინააღმდეგება ოლიმპიურ ქარტიას, რომლის პრინციპებს. სეოკ-ი განუხრელად იცავს.

# უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## წილი ნაყარია

18 დეკემბერს ციურიხში მოეწყო ფეხბურთში ევროპის საკლუბო გათამაშებათა მეოთხედფინალის წილისყრა. ამ ეტაპზე გუნდები ასე დაწყვილდნენ:

### ჩემპიონთა თასი

„მილანი" (იტალია) — „მარსელი" (საფრანგეთი).

„ცრვენა ზვეზდა" (იუგოსლავია) — „დინამო" (დრეზდენი, გერმანია).

„ბაიერნი" (გერმანია) — „პორტო" (პორტუგალია).

„სპარტაკი" (მოსკოვი, სსრ კავშირი) — „რეალი" (მადრიდი, ესპანეთი).

### თასების მფლობელთა თასი

„მანჩესტერ იუნაიტედი" (ინგლისი) — „მონპელიე" (საფრანგეთი).

„ლეგია" (პოლონეთი) — „სამპდორია" (იტალია).

„ლიეჟი" (ბელგია) — „იუვენტუსი" (იტალია).

„დინამო" (კიევი, სსრ კავშირი) — „ბარსელონა" (ესპანეთი).

### უეფა-ს თასი

„ბოლონია" (იტალია) — „სპორტინგი" (პორტუგალია).

„ატალანტა" (იტალია) — „ინტერი" (იტალია).

„რომა" (იტალია) — „ანდერლეხტი" (ბელგია).

„ტორპედო" (მოსკოვი, სსრ კავშირი) — „ბრონდბიუ" (დანია).

**შენიშვნა:** მეტოქეები პირველად ერთმანეთს შეხვდებიან წყვილებში პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე 1991 წლის 6 მარტს. საპასუხო მატჩები შედგება 20 მარტს.

## მარადონა კვლავ მინდორზეა

„ინტერი" შინ ეთამაშებოდა „ფიორენტინას" და მხოლოდ მათეუსის ზუსტმა 11-მეტრიანმა იხსნა იგი დამარცხებისაგან. „ინტერს" 19 ქულა აქვს და კვლავინდებურად ლიდერობს.

მოულოდნელად დამთავრდა „იუვენტუსის" შეხვედრა საკუთარ მინდორზე. ბოლო ადგილზე მყოფ „კალიარისთან" — 2:2, თუმცა უკვე 25-ე წუთზე მასპინძლები წინ იყვნენ ანგარიშით — 2:0. „იუვენტუსს" ამჟამად 18 ქულა აქვს, ერთი ქულით მეტი, ვიდრე „სამპდორიას", რომელმაც სტუმრად ფრედ დაამთავრა თამაში „ბარისთან" — 1:1. „მილანი" რომში შეხვდა „რომას" და ფრეს მიაღწია — 0:0.

რამდენადმე გამოასწორა მდგომარეობა შარშანდელმა ჩემპიონმა „ნაპოლიმ", რომელმაც შინ დაამარცხა „ლაციო" — 2:1. ანგარიში მე-4 წუთზე გახსნა კარეკამ, შემდეგ „ლაციოს" თავდამსხმელმა, ურუგვაელმა სოსამ საპასუხო ბურთი გაიტანა, ხოლო გადამწყვეტი ბურთის „ავტორი" იყო ინკოკიატი. ამ მატჩში მინდორზე ყველასთვის მოულოდნელად გამოჩნდა მარადონა, რომელსაც კონფლიქტი აქვს „ნაპოლის" ხელმძღვანელობასთან და სურს წასვლა კლუბიდან. არგენტინელი ფეხბურთელი ამ მატჩში ფიზიკური მომზადებით სათანადო დონეზე არ გამოიყურებოდა, მაგრამ შესანიშნავი ტექნიკა და კომბინაციური თვისებები გამოავლინა. „ნაპოლი" 13 ქულით ახლა მერვე ადგილზეა.

ამ ტურში „ბოლონიამ" და „ლეჩემ" ერთმანეთთან ფრედ დაასრულეს თამაში — 1:1, „ჯენოვამ" ანგარიშით 4:1 დაამარცხა „ჩეზენა", ხოლო „პიზამ" — „ტორინო" — 2:0.

## 2 გაძევება, 6 გაფრთხილება...

„კორინტიანსისა" და „სან-პაულუს" 2 ფინალური მატჩით დამთავრდა ბრაზილიის ჩემპიონატი ფეხბურთში.

„კორინტიანს" მოგებული ჰქონდა პირველი შეხვედრა, გუნდმა კარგად ითამაშა მეორეშიც, გაიმარჯვა — 1:0 და პირველად მოიპოვა ჩემპიონის წოდება.

მატჩს რიო-დე-ჟანეიროში 100 ათასი მაყურებელი დაესწრო, ორივე გუნდი ძალზე უხეშად თამაშობდა, რისთვისაც მსაჯმა მინდვრიდან გააძევა ორი ფეხბურთელი და ექვსი გააფრთხილა.

## „რეალმა" წაიფორხილა

**მას** შემდეგ, რაც მადრიდის „რეალს" სათავეში ჩაუდგა ახალი მწვრთნელი ალფრედო დი სტეფანო, გუნდმა ეროვნულ ჩემპიონატში ზედიზედ 5 გამარჯვება მოიპოვა. მაგრამ მე-15 ტურის მატჩში მადრიდელებმა წარუმატებლად ითამაშეს ბილბაოს „ატლეტიკოსთან" და დამარცხდნენ — 0:1.

ამავე ტურში „ბარსელონამ" შინ მოუგო „კადისს" — 2:0 და 26 ქულით დამაჯერებლად ლიდერობს ეროვნულ ჩემპიონატში. 6 ქულით ნაკლები აქვს მადრიდის „ატლეტიკოს", რომელმაც თავის მინდორზე დაამარცხა სან-სებასტიანის „რეალი" — 4:0. მადრიდის „რეალი" მესამე ადგილზეა (19 ქულა).

...ალარ

ლიტ... დავრჩი —

— დავრჩი თუნდაც

„...ომ, რაც სეულის ოლ... თამაშებზე დავკარგე, ბარ... ქ...ონაში ავინაზღაურო, მინდა ყველა ჩემს გულშემატკივარს და, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავს დავუბრუნო ჩემი ძალების რწმენა.

● **ოლიმპიადის ვერცხლი თქვენთვის მარცხის ტოლფასი იყო. ამან, ცხადია, ფსიქოლოგიურადაც იმოქმედა თქვენზე, — აკი თქვით, მაინც დავრჩიო, ეხე იგი, წასვლას აპირებდით დიდი სპორტიდან. ნუთუ შეიძლება ერთი მარცხის გამო გაწყვიტო კავშირი საყვარელ საქმესთან...**

— აქ მხოლოდ ერთ მარცხზე არ არის ლაპარაკი. სპორტსმენის ცხოვრება ხომ გამუდმებულ ნერვიულობასთან, მორალურ და ფსიქოლოგიურ დაძაბულობასთან არის დაკავშირებული. ზოგჯერ არის ისეთი მომენტებიც, როდესაც არაფერი გიხარია. ოლიმპიურ თამაშებამდე, როგორც სხვა სპორტსმენები, აბსოლუტურად ყველა ტურნირში ვმონაწილეობდი. არადა, ვგრძნობდი, ასეთი დიდი შეჯიბრების წინ დასვენება მესაჭიროებოდა. მაგრამ ნაკრებში შენს ინტერესებს არ ითვალისწინებენ — იქ არ უყვართ სიმართლის მოყვარულები და პირშიმთქმელები. მე კი ასეთად გამზარდეს. სწორედ ამ მიზეზით, ჯერ კიდევ 21 წლისას, მსოფლიო ჩემპიონსა და თასის მფლობელს, მითხრეს: შეგიძლია დაემშვიდობო ნაკრებს, აკი ყველაფერს მიაღწიეო. მართლაც, იმ წელს, ყველა ტურნირი მოვიგე და საკმაოდ ძლიერი მეტოქეებიც

იხ. გვ. 2 33



გუშინ ორხევში გაიხსნა ახალი კეთილმოწყობილი სპორტული კომპლექსი, რომელიც ახევე ახლადდაარსებულ სპორტულ კლუბ „კამარას" ეკუთვნის. „კამარა", ისევე, როგორც მასთან არსებული სპორტული ბაზა, შეიქმნა საპროექტო-სამშენებლო გაერთიანება „საქინტურისტმშენის" (გაერთიანების უფროსი — თ. ლეჟავა) თაოსნობით. გუშინვე მოეწყო სპორტკომპლექსის ერთგვარი „ნათლობა". მის დარბაზში დაიწყო საქართველოს პირველობა ფარიკაობაში. ვრცელ მასალას ორხევის სპორტული კომპლექსისა და სპორტკლუბ „კამარას" შესახებ „ლელოს" უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით

**1990 წლის 26 დეკემბერს, ოთხშაბათს, მოწვეულია საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სესია. სესია გაიმართება რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში (შოთა რუსთაველის პროსპექტი, 17). დასაწყისი 16 საათზე.**

**სეოკ-ის წევრთა დასწრება სავალდებულოა.**

**მონაწილეთა რეგისტრაცია დაიწყება 15 საათზე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუან ანტონიო სამარანჩი:

# „არ იჩქაროთ დანგრევა..."

## ინტერვიუ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) პრეზიდენტთან:

**სოფია (ხაკდხი).** საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა ინტერვიუ მისცა ბულგარულ გაზეთ „სპორტს". ინტერვიუში საუბარია აღმოსავლეთ ევროპის თანამედროვე სპორტულ მოძრაობაზე. აი მისი შინაარსი:

**● კონკრეტულად რაში გამოიხატება სოკ-ის დახმარება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისადმი, რომელთა დასახმარებლად მზადყოფნის სურვილიც თქვენ გამოთქვით?**

— დახმარების სურვილთან ერთად აღვნიშნავთ, რომ საუბარია მსოფლიო სპორტის ყველაზე უფრო მძლავრ ძალებზე. მიმაჩნია, რომ ამ ქვეყნების უმეტესობა სპორტის ახალ ორგანიზაციასა და სპორტულ კანონმდებლობას საჭიროებს. მაგრამ თითოეული ქვეყანა მხოლოდ თავად გადაწყვეტს ამ პრობლემებს, მათმა პოლიტიკურმა ლიდერებმა უნდა იცოდნენ, რომ თანამედროვე სპორტი, ერთის მხრივ, ესაა მაღალი სპორტული ოსტატობა, მეორეს მხრივ კი — სპორტი ყველასათვის, ვინაიდან, თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში სპორტს ძალზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

**● დღეს „რკინის ფარდის" წინაშე აღარ ვდგავართ, მაგრამ გამოჩნდა სხვა პრობლემები, — ფულისა, რომელსაც სწრაფად ვერ დავძლევთ. რას აპირებს ამ თვალსაზრისით სოკ-ი?**

— დახმარებაზე როდესაც ვლაპარაკობთ, მესამე მსოფლიოს ქვეყნებს ვგულისხმობთ. როდესაც თქვენზეა საუბარი, ვიცით, რომ მოწინავე ხართ მსოფლიო სპორტში. ამიტომ, თქვენთვის ამჟამად მთავარია — არ იჩქაროთ მიღწეულის დანგრევა. დანგრევა ადვილია, ბევრად უფრო ძნელია მიღწეული დონის შენარჩუნება.

**● რას აღნიშნავდით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში თქვენი ბოლოდროინდელი სტუმრობის შემდეგ?**

— ვფიქრობ, რომ ყველაზე ძნელი დაწყებაა. პოლიტიკურ ლიდერებს ბევრი პრობლემა აქვთ და მათ არც კი რჩებათ დრო სპორტის საკითხების გადასაწყვეტად. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე, უნდა ვიცოდეთ, რომ სპორტი ჩვენი თანამედროვე ცხოვრების ძალზე მნიშვნელოვანი ნაწილია.

**● მოსალოდნელი ცვლილებების მომავალში როგორ გესახებათ ჩვენი ქვეყნების ადგილი მსოფლიო სპორტში?**

— ამ ქვეყნების უმრავლესობის სპორტული ტრადიციები ბოლო 50 წლის მანძილზე კი არ არის შექმნილი, არამედ, გაცილებით ადრე, ამიტომაც ძლიერია. ვფიქრობ, რომ ამ ქვეყნებიდან ბევრი კვლავ სპორტული სამყაროს „სათავეში" აღმოჩნდება.

**● თქვენ განაცხადეთ, რომ თანამედროვე ეტაპზე ოლიმპიური მოძრაობის კომერციალიზაცია აუცილებელია. მაინც რა ჩარჩოებში?**

— ოლიმპიური მოძრაობის პოლიტიკა ამ შემთხვევაში უცვლელია. ტრადიციას შევინარჩუნებთ — თამაშების გამართვისას სტადიონებსა და სპორტულ ნაგებობებზე რეკლამებს არ გავაკრავთ. მაგრამ, მეორეს მხრივ, უნდა ვაღიაროთ, რომ კომერციალიზაციას სპორტი დღეს გვერდს ვერ აუვლის. ჩვენს დროში ყურადღებით უნდა შევისწავლოთ, თუ როგორ მოქმედებენ სპორტული ფუნქციონერები.

**● ეს კუბერტენის იდეალებს ხომ არ დაუპირისპირდება?**

— არ ვიცი. მაგრამ ჩემთვის ისაა მთავარი, რომ სპორტი საზოგადოების სურვილისამებრ მიიწევდეს წინ. კუბერტენი ჭკვიანი და თვითდაჯერებული ადამიანი იყო. იგი დღეს ჩვენს შორის რომ იყოს, დარწმუნებული ვარ, იგივეს მოიმოქმედებდა, რასაც ჩვენ ვაკეთებთ. ჩვენ კი არ ვიცვლებით, არამედ იცვლება საზოგადოება. ჩვენ ეს უნდა განვჭვრიტოთ.

**● როგორია თქვენი შეფასება ბოლო ოლიმპიური თამაშებისა მორალური ასპექტით?**

— სეულის ოლიმპიადა ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანია, რამდენადაც ეს თამაშები გამაერთიანებელი იყო. 1989 წლიდან ბევრი ცვლილება მოხდა. ვფიქრობ, „ცივი ომი" ოლიმპიურ მოძრაობაში დამთავრდა სწორედ სეულში 1988 წელს.

**● საბჭოთა კავშირის, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს სურთ სოკ-ის დამოუკიდებელი წევრები გახდნენ...**

— ეს პოლიტიკური პრობლემაა და იგი პოლიტიკური საშუალებებით უნდა გადაწყდეს. ჩვენ მეტად მოხარული ვიქნებოდით ახალი წევრების მიღებისა, მაგრამ უწინარეს ყოვლისა პოლიტიკური პრობლემები უნდა მოგვარდეს.

**● როგორც ოლიმპიადების ორგანიზატორს, როგორი დამოკიდებულება გაქვთ კეთილი ნების თამაშებთან?**

— კეთილი ნების თამაშები არამც და არამც არ ემუქრება ოლიმპიურ თამაშებს. პირიქით, ადასტურებს თეზისებს, რომ ფული სპორტში ტრიალებს და არა კერძო პირთა ხელში.

**● რას ელით ბარსელონის „ოლიმპიადა-92"-საგან?**

— ეს თამაშები იოლი არ იქნება — სამუშაო ძალზე ბევრია. ვფიქრობ, რომ მონაწილეთა რაოდენობით იგი სარეკორდო აღმოჩნდება. ვიმედოვნებ, აგრეთვე, რომ ის წარმატებით ჩაივლის. ამავე დროს სეულის ოლიმპიადის ორგანიზაციის დონის მიღწევა მეტად გაჭირდება. ოლიმპიურ თამაშებში ხომ 10 ათას სპორტსმენზე მეტი ვერ მიიღებს მონაწილეობას, რაც იმას ნიშნავს, რომ ოლიმპიური სოფლის მოსახლეობა 15 ათასს მაინც უნდა ითვლიდეს. აგრეთვე შემიძლია გაუწყოთ, რომ დღესდღეობით ჩვენ განვიხილავთ ოლიმპიურ პროგრამას, რათა იქედან ამოვიღოთ სპორტის ზოგიერთი სახეობა.



# გრაფი და ლენდლი — მსოფლიო ჩემპიონები

**ლონდონი.** ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიტ) ჩეხოსლოვაკიელ ივან ლენდლს და გერმანელ შტეფი გრაფს 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულები მიანიჭა. ფიტ-ის ჟიურიმ, რომელშიც შედიოდნენ წარსულში სახელმოხვეჭილი ჩოგბურთელები, ინგლისელი ფრედ პერი, ავსტრალიელი ფრენკ სეჯმენი და ამერიკელი ტონი ტრეიბერტი, ჩეხოსლოვაკიელი სპორტსმენი ამჯობინა მსოფლიო რეიტინგით პირველ ადგილზე მყოფ შვედ სტეფან ედბერგს. ჟიურის განცხადებით, ეს გადაწყვეტილება მიღებულია იმის გათვალისწინებით, რომ ლენდლმა წლეულს „დიდი მუზარადის" სამ შეჯიბრებაში 16 გამარჯვება მოიპოვა, ედბერგმა კი ოთხ ტურნირში „მხოლოდ" — 13.

იქვე აღინიშნა, რომ, მართალია, გრაფმა „დიდი მუზარადის" მხოლოდ ერთი ტურნირი მოიგო, მაგრამ წლის განმავლობაში კონკურენტებზე



უკეთ თამაშობდა, რაც, სხვათა შორის, პროფესიულ ჩოგბურთელთა ასოციაციის კლასიფიკაციაშიც აისახა (მონიკა სელეშთან, მარტინა ნავრატილოვასთან და გაბრიელა საბატინისთან შედარებით).

კალენდრის უქონლობის გამო „ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 23 დეკემბერს.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

# განცხადებები

**იმ წარმოება-დაწესებულებათა ...**

...ჰქვიან, **ზვანელების** ...ნები აფასებდნენ ...საბერძნეთის მოჯ..., ...ლესად კარგი მოვარჯიშე ...ფილიყო.

მეცნიერი ლესგაფტი სწორედ ამაზე სწერს:

„ბერძნის იდეალის ერთ-ერთ დიად მომენტად იყო სწორედ ეს ჯანსაღი, ღონიერი, ზომიერად აგებული, ლამაზი ტანი, რომელშიაც ასეთივე ჯანსაღი სული იდგა".

პლატონი იმ კაცს, რომელსაც სული და ხორცი ერთ დონეზე არა

**ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის დირექცია გაცნობებთ, რომ ეროვნულ სტადიონზე 1990 წლის 22 დეკემბერს დანიშნული ფეხბურთის მატჩი და ლატარიის გათამაშება არ ჩატარდება.**

როგორც ა. წ. 18 დეკემბერს ტელევიზიით გეცნობათ, გაყიდული ლატარიის ბილეთების ღირებულება მფლობელებს დაუბრუნდებათ ეროვნული სტადიონის სალაროში (წერეთლის პრ. 2) 9-დან 19 საათამდე, ყოველდღე, უქმე დღეების ჩათვლით, 1990 წლის 30 დეკემბრამდე.

...მატჩის ჩატარების შესახებ გაცნობებთ დამატებით.

ეროვნული სტადიონის დირექცია

...მოცდებოდა, მოვა... ...სწავლის ფონდის სასარგებ... სიტყვაში ნახევარი კაპიკი (ჩვენ ფულზე) გადაეხადა.

თუ რამდენად დიდი იყო პროცენტი გადაგვარებულთა, ეს იქიდანა-

„საქართველო", ... (№ 108).

მოგვაწოდა ხულიკო ნუცუბიძემ

**ცხენის მოყვარულებს**

**22 დეკემბერს** 14 საათზე ქ. თბილისის ეროვნულ იპოდრომზე განათლების სამინისტროს სპორტული სკოლის შენობაში ჩატარდება საზოგადოება „ცხენოსანის" დამფუძნებელი კრება.

**იპოდრომის დირექცია**

...ჯაოს შ... **შილოების ცენტრი** ...რელმა ე. ძიძიგურმა.

**ინვალიდთა და მათი ბედით დაინტერესებულ პირთა საყურადღებოდ!**

**ამა წლის 20 დეკემბერს, 17 საათზე, ოფიცერთა სახლის სხდომათა დარბაზში გაიმართება საქართველოს ინვალიდთა სპორტული ავტოკლუბის დამფუძნებელი კონფერენცია.** ამ კლუბში გაერთიანებული პირები მონაწილეობას მიიღებენ საქართველოსა და საერთაშორისო ტურნირებში; აგრეთვე მოეწყობა ინვალიდთა ავტოგადარბენები როგორც საქართველოში, ...რეთაც. სპორ-...რად-...ით. ...შ-

# გორელები — ლენინგრადის ტატამზე

**ლენინგრადში** დამთავრებულ ჭაბუკ ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირზე, რომელშიც მონაწილეობდნენ ბულგარეთის, პოლონეთის, რუმინეთისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები, მიწვეულნი იყვნენ აგრეთვე გორელი ნორჩი ფალავნები (მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გივი ზაუტაშვილი).

მართლაც ისახელეს თავი გოგიტა გოგიაშვილმა (62 კგ) და იოსებ გუსოშვილმა (83) — მათ ჩემპიონის ოქროს მედლები დაიმსახურეს. მეორე ადგილზე გავიდნენ ანზორ ზაუტაშვილი, დავით მარეხაშვილი, დავით კადალაევი, დავით არაბაშვილი და გიორგი მამუჩაშვილი. ახალბედა მოჭიდავემ, მძიმე წონის სერგო პაპიძემ მესამე ადგილი დაიკავა, რაც წარმატებად უნდა ჩაეთვალოს. მესამე ადგილებზე გავიდნენ აგრეთვე პაატა ცხოშვილი და ბესიკ ჯიოშვილი.

**ილია თევდორაშვილი,**
**„ლელოს" კორ.**

გორი.

**გული უნდა ფალავნობდეს!**

# საშკეთესონი

**ჯერ** კიდევ ერთი წლის წინ ისინი არავის ახსოვდა, არავინ ფიქრობდა მათ მწარე ხვედრზე, არავის აწუხებდა მათი უნუგეშო მდგომარეობა. დიახ, ინვალიდებზე მოგახსენებთ.

1990 წლის 6 აპრილს დაფუძნდა საქართველოს ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული ფედერაცია, რომელმაც საქართველოში მცხოვრებ ინვალიდთა ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის რეაბილიტაცია დაისახა მოქმედების მთავარ მიზნად. სწორედ ამ ფედერაციის საქმიანობამ დაუბრუნა ინვალიდებს რწმენა, ცხოვრების ხალისი და იმედი იმისა, რომ სიცოცხლე გრძელდება და ის მათთვისაც ისეთი საინტერესო და მშვენიერია, როგორც ყველასათვის.

და აი, წლის მიწურულს საქართველოს ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტულმა ფედერაციამ გადაწყვიტა დაესახელებინა 10 საუკეთესო სპორტსმენი, ისინი, ვინც გარკვეულ წარმატებებს მიაღწია ინვალიდთა საკავშირო თუ საერთაშორისო ტურნირებში. მათ შორის არიან უსინათლონი, სმენადაქვეითებულნი, ინვალიდები საერთო დაავადებით, სპორტსმენები სხვადასხვა ტრავმებით. აი ისინიც: 1. ლიანა გოგიტიძე (I ჯგუფის ინვალიდი) — საკავშირო და საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული მარათონში; 2. რამინ ფოლადაშვილი (III ჯგ.) — საკავშირო და საერთაშორისო ტურნირების ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში; 3. სერგო სოტიევი (III ჯგ.) — საკავშირო და საერთაშორისო ტურნირების ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში; 4. ლევან ჟამიაშვილი (II ჯგ.) — მკლავჭიდელთა საერთაშორისო ტურნირის „მოსკოვური დათვების" ვერცხლის მედლის მფლობელი; 5. შალვა ნადირაძე (II ჯგ.) — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მძლეოსნობაში (სირბილი); 6. ალექსანდრე მამალაძე (II ჯგ.) — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მარათონში, გაიმეორა საკავშირო რეკორდი; 7. დავით შაკიაშვილი (II ჯგ.) — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი 20 კმ-იან კროსში; 8. ვლადიმერ ალიევი (III ჯგ.) — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ძიუდოში; 9. ვიქტორ მუსაევი (III ჯგ.) — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ძიუდოში; 10. სერგო ღვალაძე (III ჯგ.) — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი 10 კმ-იან კროსში.